# საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის მოსამსახურეთა თანამდებობრივი ინსტრუქცია (უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური)

| | | |
|---|---|---|
| 1 | სახელი, გვარი | |
| 2 | თანამდებობის დასახელება | უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მ. შ. |
| 3 | ზოგადი დებულებანი | უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, შემდგომში "სამსახურის", მოვალეობაა უნივერსიტეტში სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფა სწავლების, სწავლისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების (სტუდენტთა ცოდნის შეფასება, მოდულები, საკრედიტო სისტემა და ა. შ.) დანერგვის გზით, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეთანაწყობა სასწავლო პროცესთან, აგრეთვე ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადება. |
| 4 | თანამდებობრივი დაქვემდებარება | უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი წარმოადგენს უნივერსიტეტის მართვის ორგანოს ერთ-ერთ ხელმძღვანელს და თანამდებობრივად ექვემდებარება უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელს, იგი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რეფორმების კომისიის წინაშე. |
| 5 | თანამდებობრივი მოვალეობანი | უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობრივი მოვალეობაა: უხელმძღვანელოს უნივერსიტეტში სწავლების, სწავლისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით სასწავლო პროცესის მაღალი დონის წარმართვისათვის საჭირო ღონისძიებებს, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიმდინარეობის მონიტორინგს და ინსტიტუციური, ან პროგრამული აკრედიტაციისათვის თვითშეფასების კითხვარის მომზადებას, რისთვისაც შესაბამისი დავალებები უნდა მისცეს სამსახურის მთავარ და წამყვან სპეციალისტებს, ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ხელმძღვანელებს. მის მოვალეობებში შედის აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში დროებითი მოქმედი ჯგუფების ჩამოყალიბება უნივერსიტეტის დროებითი მოქმედი ჯგუფების ჩამოყალიბება უნივერსიტეტის |

| | | |
|---|---|---|
| | | რეფორმების კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე. |
| 6 | თანამდებობრივი უფლებამოსილება | უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მ. შ. უფლებამოსილია თავის სტრუქტურაში შექმნას დროებითი ქვედანაყოფები, რომლებიც უზრუნველყოფენ “სამსახურის” მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას (საინფორმაციო, საგანმანათლებლო რეფორმების, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების, სტუდენტებთან და კურსდამათავრებულებთან ურთიერთობის, შრომის ბაზრის ანალიზისა და კურსდამთავრებულების დასაქმების და ა. შ.). “სამსახურის” ხელმძღვანელის მ. შ. უფლებამოსილია წარმოადგინოს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატურა, რომელსაც შემდეგ ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო. “სამსახურის” ხელმძღვანელის მ. შ. უფელბამოსილია უნივერსიტეტის რეფორმების კომისიის დადგენილების საფუძველზე დაესწროს მეცადინეობებს, მიმდინარე და ჯამურ რეიტინგულ შეფასებებს, შეამოწმოს ფაკულტეტების სტრუქტურული ერთეულების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა და ა. შ. |
| 7 | საკვალიფიკაციო და სხვა მოთხოვნები | “სამსახურის” ხელმძღვანელის მ. შ. უნდა იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, კარგად უნდა ერკვეოდეს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროცესში, ამ მიმართულებით უნდა ჰქონდეს არა ნაკლებ 5 წლის გამოცდილება; უნდა ერკვეოდეს მსოფლიო და ევროპული საგანმანათლებლო სისტემების ძირითად დებულებებში, უნდა იცნობდეს ECTS ევროპული კრედიტების ტრანსფერების სისტემას და ამ სისტემასთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს. |

| | | |
|---|---|---|
| 1 | სახელი, გვარი | |
| 2 | თანამდებობის დასახელება | წამყვანი სპეციალისტი |
| 3 | ზოგადი დებულებანი | უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, შემდგომში “სამსახურის”, მოვალეობაა უნივერსიტეტში სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფა სწავლების, სწავლისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების (სტუდენტთა ცოდნის შეფასება, მოდულები, |

| | | |
|---|---|---|
| | | საკრედიტო სისტემა და ა. შ.) დანერგვის გზით, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეთანაწყობა სასწავლო პროცესთან, აგრეთვე ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადება. |
| 4 | თანამდებობრივი დაქვემდებარება | მთავარი სპეციალისტი ექვემდებარება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელს. |
| 6 | თანამდებობრივი უფლებამოსილება | "სამსახურის" მთავარი სპეციალისტის უფლებამოსილებაა გადაამოწმოს ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების და წამყვანი სპეციალისტების, აგრეთვე დროებითი მოქმედი ჯგუფების მიერ მოწოდებული მასალა და წინადადებები. |
| 7 | საკვალიფიკაციო და სხვა მოთხოვნები | "სამსახურის" მთავარმა სპეციალისტმა კარგად უნდა იცოდეს საქართველოს კანონი "უმაღლესი განათლების შესახებ", უნდა ჰქონდეს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროცესებში მონაწილეობის და მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება, კარგად უნდა ფლობდეს კომპიუტერულ ტექნიკას (მიზანშეწონილია ჰქონდეს სერთიფიკატი ამ მიმართულებით) და გამოიჩინოს მიღებული მასალების გაანალიზების კარგი უნარი. |

| | | |
|---|---|---|
| 1 | სახელი, გვარი | |
| 2 | თანამდებობის დასახელება | სპეციალისტი |
| 3 | ზოგადი დებულებანი | უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, შემდგომში "სამსახურის", მოვალეობაა უნივერსიტეტში სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფა სწავლების, სწავლისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების (სტუდენტთა ცოდნის შეფასება, მოდულები, საკრედიტო სისტემა და ა. შ.) დანერგვის გზით, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეთანაწყობა სასწავლო პროცესთან, აგრეთვე ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადება. |
| 4 | თანამდებობრივი დაქვემდებარება | წამყვანი სპეციალისტი ექვემდებარება "სამსახურის" მთავარ სპეციალისტს. |
| 5 | თანამდებობრივი მოვალეობანი | "სამსახურის" წამყვანი სპეციალისტის მოვალეობაა შეასრულოს მთავარი სპეციალისტის მიერ მიცემული დავალებები, მონიტორინგი გაუწიოს |

| | | |
|---|---|---|
| | | მასზე მიმაგრებული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობას და უნივერსიტეტის “სამსახურის” სამუშაო გეგმის შესაბამისად კონტროლი გაუწიოს ფაკულტეტებზე სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პროცესების მიმდინარეობას. შექმნას კომპიუტერისათვის მონაცემთა ბაზა და ყოველდღიურად მასზე მიმაგრებული ობიექტებიდან მიღებული მასალებით განაახლოს იგი. |
| 6 | თანამდებობრივი უფლებამოსილება | “სამსახურის” წამყვანი სპეციალისტის უფლებამოსილებაა შემოწმების და შემდეგ დასკვნების გაკეთების მიზნით დაესწროს მეცადინეობებს მასზე მიმაგრებული ფაკულტეტის სტრუქტურულ ერთეულებში, შეამოწმოს იქ სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მიმდინარეობა და დეკანატების მიერ წარმოებული დოკუმენტაცია. |
| 7 | საკვალიფიკაციო და სხვა მოთხოვნები | “სამსახურის” წამყვანმა სპეციალისტმა კარგად უნდა იცოდეს საქართველოს კანონი “უმაღლესი განათლების შესახებ” და ერკვეოდეს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროცესში, კარგად უნდა ფლობდეს ერთ-ერთ უცხო ენას (რუსული, ინგლისური, გერმანული, ფრანგული), უნდა იცოდეს მუშაობა კომპიუტერთან და პროგრამები “Word”, “Excell”, ოფის პროგრამები და ა.შ. (მიზანშეწონილია ჰქონდეს სერთიფიკატი ამ მიმართულებით). |